



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

„ეკონომიკა“

2012-2016 წწ.

ქუთაისი

2012

1. პროგრამის დასახელება: ეკონომიკა (Economics)

დამატებითი (minor) პროგრამა: „ეკონომიკა“ (სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის)

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი - Bachelor of Economics (BE)

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი

ძირითადი ნაწილი - 180 ECTS კრედიტი

მათ შორის:

სპეციალობის სავალდებულო - 80 ECTS კრედიტი

სპეციალობის არჩევითი (ორი) მოდული - 40 ECTS კრედიტი

დამხმარე სავალდებულო კურსები - 45 ECTS კრედიტი

არჩევითი კურსები - 15 ECTS კრედიტი

დამატებითი minor პროგრამა - 60 ECTS კრედიტი

4. სწავლების ენა: ქართული

5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ეკონომიკის ბაკალავრის მომზადების მიზანია:

- მისცეს სტუდენტს მიკრო და მაკრო სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელი ძირითადი დებულებებისა და კატეგორიების გაცნობიერების აუცილებელი თეორიული ცოდნა;
- შეასწავლოს სტუდენტს კონკრეტულ გარემოში ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვა და წარმოება როგორც საჯარო და/ან კერძო სექტორში, ისე საკუთარ ბიზნესში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- ჩამოუყალიბოს სტუდენტს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი ეროვნული ეკონომიკის სექტორებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მართვის სფეროებში;
- მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე, გახადოს სტუდენტი კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე;
- შეუქმნას სტუდენტს საფუძველი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სწავლების მომდევნო საფეხურზე, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კომპეტენციების წინასწარი იდენტიფიცირება - ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატი.

7. სწავლის შედეგი

კომპეტენციები უნდა დაიწეროს დარგების მიხედვით(კონცენტრაციების მიხედვით)

ცოდნა/გაცნობიერება	ზოგადი	იცის აქვს ეკონომიკის სფეროს ფართო ცოდნა , რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებას და კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას
	დარგობრივი	იცის ან გათვითცნობიერებული აქვს ჩამოუყალიბებული აქვს მიკრო, მაკრო და მეგა ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ამსახველი ძირითადი თეორიული დებულებებისა და პრინციპების განსაზღვრისა და განსხვავებისათვის აუცილებელი ცოდნა: საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკების, საგადახდო და საგადასახადო სისტემების; ქვეყნის სოციალური, დემოგრაფიული და ეკონომიკური პროცესების შესახებ
სწავლის პროცესში გამოყენება	ზოგადი	შეუძლია ეკონომიკის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის დავალების შესრულება წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად
	დარგობრივი	შეუძლია სოციალური და ეკონომიკური სფეროს პრობლემური საკითხის გამოცნობა და აქტუალობის შეფასება, მისი გადაჭრის მეთოდების შერჩევა და ჩვენება, საანალიზო პარამეტრების გამოთვლა და განზოგადება, მოსალოდნელი

		შედეგების წინასწარი აღწერა, ჩამოყალიბება და დემონსტრირება; საერთაშორისო სავაჭრო, საანგარიშსწორებო და ლოჯისტიკის ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება, თავისი კომპეტენციათა ფარგლებში
დასკვნის უნარი	ზოგადი	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების და განმარტების, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზის სტანდარტული და ზოგიერთი მეთოდის გამოყენების, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი
	დარგობრივი	ჩამოყალიბებული აქვს ეროვნული ეკონომიკის სფეროების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი ფაქტების შეგროვების, მონაცემების დალაგების და კლასიფიცირების, საანალიზო მახასიათებლების გამოთვლის და აბსოლუტურ, შეფარდებით და საშუალო სიდიდეებში მათი გამოსახვის, ეკონომიკურ ცხრილებსა და გრაფიკებში წარმოდგენის, საკითხის გადასაწყვეტად სარეკომენდაციო წინადადებების მომზადების და ჩვენების უნარი
კომუნიკაციის უნარი	ზოგადი	შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება
	დარგობრივი	აქვს ქართულ და ინგლისურ ენაზე (შესაძლოა სხვა უცხო ენაზეც) თანამედროვე საინფორმაციო წიგნიერების და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მიღების, აღქმის, დამუშავებისა და წარდგენის, დარგის სპეციალისტებთან და/ან არასპეციალისტებთან, საქმიან პარტნიორებთან ვერბალურ და ელექტრონულ დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობასა და კამათში შეუფერხებელი საუბრის, წერილობითი ანგარიშის მომზადების და პრეზენტაციის, სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით ეკონომიკური შინაარსის და საქმიანი ინფორმაციის გადაცემის უნარი
სწავლის უნარი	ზოგადი	შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა
	დარგობრივი	აქვს სწავლის საჭიროების, მისი აუცილებლობის დონისა და ხარისხის განსაზღვრის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის გზით ცოდნის მიღებისა და განახლების უნარი; სასწავლო ლიტერატურისა და ინტერნეტრესურსების გამოყენების, საკუთარი ცოდნის შესაბამისი ქართული და უცხოური ლიტერატურის კითხვით უწყვეტი განვითარების შესაძლებლობების უნარი
ღირებულებები	ზოგადი	ზოგადი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა
	დარგობრივი	სწავლის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღირებულებების გააზრების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერების, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების პროცესში ინდივიდუალურად და/ან გუნდში ღირსეული მონაწილეობის მოთხოვნილება; საზოგადოებაში თვითდამკვიდრების და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის, პიროვნული თავისუფლების (უზენაესი ღირებულების) უზრუნველყოფის თვითშეგნება; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებაში თვისება

1. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

- საკონტაქტო:

✓ **ლექცია** - სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით;

✓ **ჯგუფში მუშაობა** - სტუდენტების მიერ ერთობლივი ან ინდივიდუალური მცდელობა წინასწარ მიცემული საკითხის ან თემის შესახებ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია.

მიზანშეწონილია გაუგებარი და ძნელად გასაგები საკითხების განმეორებით განხილვა, რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

✓ **საქმიანი თამაშები** - სხვადასხვა საწარმოო სიტუაციებში, წინასწარ დადგენილი წესებით, ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების იმიტაციური მეთოდი (რეალურ ობიექტზე ექსპერიმენტების ჩატარების გარეშე მოვლენის შინაარსის გაცნობიერება) სიუჟეტურ-როლებიანი თამაშის ორგანიზაციის გზით. იგი სტუდენტებისათვის სინამდვილესთან მიახლოებულ სიტუაციაში ეკონომიკური ქცევის ნორმების შეცნობის საშუალებაა, რომელიც აუცილებლად მოიცავს თამაშის მიზნის, დავალების, პირობების და წესების გაცნობას.

საკონტაქტო ფორმის დროს გამოიყენება სწავლების ისეთი ხერხები, როგორცაა:

ვერბალური ანუ ზეპირი მეთოდი გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა-პასუხის, ინტერაქტიული მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები;

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ მიღებული ცოდნა და ინტენსიურად ჩაერთონ ჯგუფში მუშაობის პროცესში, წარმოადგინონ მომზადებული პრეზენტაციები, განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სწავლების მეთოდია, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენებით სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილება კონკრეტულ შემთხვევები, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს.

წერითი მეთოდების გამოყენებით სტუდენტების მიერ ხორციელდება ჩანაწერების გაკეთება, გარკვეული თეზისების სახით; ესეების, მოხსენებების გაკეთება.

გონებრივი იერიშის მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, რაც გულისხმობს დავალების ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად შესაძლებელი (შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული) მოსაზრების, იდეის ჩამოყალიბებასა და პრეზენტაციას, კერძოდ: პრობლემის დასმა ან საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა; დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა; გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან; კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

დემონსტრირების მეთოდით გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას და გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმა. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით იგი ეფექტურია. შესაძლოა, მასალა ერთდროულად ელექტრო ტექნიკური და ვიზუალური გზით მიეწოდება სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება ხორციელდება როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ. საბოლოოდ, შესაძლებელია საკითხის/პრობლემის არსის ვიზუალურად წარმოჩენის ხერხია.

ინდუქციური მეთოდი სწავლის პროცესში დახმარებას უწევს აზრის მსვლელობას კერძოდან (კონკრეტულისაკენ) ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

დედუქციური მეთოდი ცოდნის გადაცემის ისეთი ხერხია, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის გამომქდავენების ლოგიკური პროცესია, ანუ ზოგადიდან კონკრეტულისაკენ პროცესის მიმდინარეობის მართვაა.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რაც ამარტივებს დასმული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც „მთელი“ს დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მოცემული საკითხის ირგვლივ მსჯელობას. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პრეზენტაცია ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რის გამოც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

ვენის დიაგრამა - ვენის დიაგრამა შედგება ორი ან მეტი ურთიერთგადაჯაჭვული წრისაგან, რომლის შუაში სიცარიელეა. მისი გამოყენება შეიძლება ორი განსხვავებული ინფორმაციის ერთმანეთთან შედარებისას: ერთ მხარეზე იწერება ერთი მოვლენისთვის დამახასიათებელი მონაცემები, მეორეში - მეორის შესაბამისი, ხოლო შუა ცარიელ ადგილზე კი იწერება ის მახასიათებლები, რომელიც საერთო აღმოჩნდება ორივე მათგანისათვის.

- **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობაა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადებისათვის.

- **პროფესიული პრაქტიკა** - სასწავლო მეცადინეობის სახე, რომლის პროცესში სტუდენტები პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითებით დამოუკიდებლად ასრულებენ შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებულ საწარმოო დავალებებს მომქმედ ორგანიზაციაში (აწსუ პედაგოგიური და პროფესიული პრაქტიკის სამსახურთან შეთანხმებით) და შეიძენენ ბიზნესის ადმინისტრირების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, პროფესიულ ცოდნასა და სიახლეებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და სიაინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის მიმართულებით

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ორ ძირითად მიზანს ემსახურება:

1. სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მისი სწავლისათვის ხელშეწყობა;
2. სწავლების კონკრეტული მეთოდიკის და სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის შემოწმება და სრულყოფა. პედაგოგმა უნდა იცოდეს, თუ რა კონკრეტულ მიზანს ისახავს სტუდენტის შეფასება, ასევე, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ინფორმაცია, რომელსაც შეფასების შედეგად იღებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის ათვისების მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა უნდა შეფასდეს არა ნაკლებ 40 ქულით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია

51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:

პროგრამას ემსახურება სხვადასხვა მიმართულების როგორც აკადემიური პერსონალი და მოწვეული აკადემიური დოქტორები.

მათ შორის:

პროგრამა	სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	მოწვეული (ეკონ. მეცნ. დოქტორი)
ეკონომიკა	2	14	3	1

ეკონომიკის პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-ს კორპუსები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები და ტექნიკა (მათ შორის. საპროექციო და სხვა სადემონსტრაციო აპარატურა), სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, პანდუსები (ინკლუზივი სტუდენტებისათვის) და ა.შ. კომპიუტერული კლასები და სხვ.

კომპეტენციათა მატრიცა

№	კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
I. დამხმარე სავალდებულო კურსები							
I.1	აკადემიური წერა	X	X	X	X		X
I.2	უცხო ენა 1	X	X	X	X	X	X
I.3	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1	X	X	X	X	X	X
I.4	სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია						
I.5	ინფორმაციული ტექნოლოგიები						
I.6	უცხო ენა 2						
I.7	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	X	X	X	X	X	X
I.8	უცხო ენა 3	X	X	X	X	X	X
I.9	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	X	X	X		X	
II. არჩევითი კურსები							
II.1	მეორე უცხო ენა 1	X	X	X	X	X	X
II.2	ფილოსოფიის საფუძვლები	X	X				X
II.3	რელიგიის ისტორია	X	X				X
II.4	მეორე უცხო ენა 2	X	X			X	X
II.5	საქართველოს ისტორია	X	X			X	X
II.6	ქართული და მსოფლიო კულტურის ისტორია	X			X		X
II.7	ეკოლოგია და გარემოს დაცვა	X	X		X	X	

II.8	მორე უცხო ენა 3	X	X	X			X
II.9	სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები						
II.10	პოლიტოლოგიის საფუძვლები	X		X	X		X
III. სავალდებულო კურსები							
III.1	ეკონომიკის პრინციპები 1	X		X	X	X	X
III.2	ეკონომიკის პრინციპები 2	X		X	X	X	X
III.3	ეკონომიკური აზრის ისტორია	X		X	X		X
III.4	მიკროეკონომიკა	X	X	X	-	-	X
III.5	სტატისტიკის თეორია	X	X		X	X	
III.6	მაკროეკონომიკა	X	X		X	X	
III.7	საკორპორაციო სამართალი	X	X	X	X	X	X
III.8	საერთაშორისო ეკონომიკა 1	X		X	X	X	X
III.9	საჯარო ფინანსები	X	X	X	X		X
III.10	ეკონომიკური სტატისტიკა	X	X				X
III.11	საერთაშორისო ეკონომიკა 2	X	X	X	X		X
III.12	საერთაშორისო სტატისტიკა	X	X	X	X	X	X
III.13	საქართველოს ეკონომიკა	X	X	X	X		
III.14	ეკონომიკური ანალიზი	X	X	X	X	X	X
III.15	ეკონომიკური ფსიქოლოგია	X	X	X	X		X
III.16	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	X	X	X			X
IV. არჩევითი მოდულები							
IV.1 საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები 070104 საერთაშორისო ეკონომიკა							
IV.1.1	საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა	X	X	X	X	X	X
IV.1.2	საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები	X			X		X
IV.1.3	საგარეო ვაჭრობა	X	X	X	X	X	X
IV.1.4	საერთაშორისო მარკეტინგის პრინციპები	X	X		X		X
IV.1.5	საერთაშორისო გადაზიდვები და ლოგისტიკა	X	X		X		
IV.1.6	საერთაშორისო საგადასახადო სისტემები და ინსტრუმენტები	X	X	X	X		
IV.1.7	პროფესიული პრაქტიკა	X	X	X	X	-	X
IV.2 ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა 070105 ეკონომეტრიკა							
IV.2.1	სოციოლოგიის საფუძვლები	X	X	X	X		
IV.2.2	კომერციული საქმიანობის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი	X	X				X

IV.2.3	<i>დემოგრაფიის საფუძვლები</i>	X				X	X
IV.2.4	<i>საბაჟო საქმიანობის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი</i>	X	X	X	X	X	X
IV.2.5	<i>ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა</i>	X	X	X			X
IV.2.6	<i>სოციალური სტატისტიკა</i>	X	X	X			X
IV.2.7	<i>პროფესიული პრაქტიკა</i>	X	X	X	X		X

10. სასწავლო გეგმა

პროგრამის დასახელება: ეკონომიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/შ/ჯგ	წინაპირობა*	სემესტრი							
			სულ	საკ		დამ			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
				ლ/შ/ჯგ	გამ											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
I. დამხმარე სავალდებულო კურსები																
I.1	აკადემიური წერა	5	125	45	4	76	0/0/3		x							
I.2	უცხო ენა 1	5	125	75	4	46	0/0/5		x							
I.3	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1	5	125	45	4	76	1/0/2		x							
I.4	სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია	5	125	45	4	76	2/0/1		x							
I.5	ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	125	45	4	76	0/3/0			x						
I.6	უცხო ენა 2	5	125	75	4	46	0/0/5	I.2		x						
I.7	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	5	125	45	4	76	1/0/2	I.3		x						
I.8	უცხო ენა 3	5	125	75	4	46	0/0/5	I.6			x					
I.9	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	5	125	45	4	76	1/0/2	I.7			x					
სულ		45	1125				-									
II. არჩევითი კურსები **																
II.1	მეორე უცხო ენა 1	5	125	75	4	46	0/0/5		x							
II.2	ფილოსოფიის საფუძვლები	5	125	45	4	76	2/0/1		x							
II.3	რელიგიის ისტორია	5	125	45	4	76	2/0/1		x							

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
II.4	მეორე უცხო ენა 2	5	125	75	4	46	0/0/5	II.1		x						
II.5	საქართველოს ისტორია	5	125	45	4	76	2/0/1			x						
II.6	ქართული და მსოფლიო კულტურის ისტორია	5	125	45	4	76	2/0/1			x						
II.7	ეკოლოგია და გარემოს დაცვა	5	125	45	4	76	2/0/1				x					
II.8	მეორე უცხო ენა 3	5	125	75	4	46	0/0/5	II.4			x					
II.9	სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები	5	125	45	4	76	0/0/3				x					
II.10	პოლიტოლოგიის საფუძვლები	5	125	45	4	76	2/0/1				x					
სულ		15	375													
III. სავალდებულო კურსები																
III.1	ეკონომიკის პრინციპები 1	5	125	45	4	76	1,5/0/1,5		x							
III.2	ეკონომიკის პრინციპები 2	5	125	45	4	76	1,5/0/1,5	III.1		x						
III.3	ეკონომიკური აზრის ისტორია	5	125	45	4	76	1,5/0/1,5			x						
III.4	მიკროეკონომიკა	5	125	45	4	76	1,5/0/1,5				x					
III.5	სტატისტიკის თეორია	5	125	45	4	76	1,5/0/1,5					x				
III.6	მაკროეკონომიკა	5	125	45	4	76	1,5/0/1,5					x				
III.7	საკორპორაციო სამართალი	5	125	45	4	76	2/0/1					x				
III.8	საერთაშორისო ეკონომიკა 1	5	125	45	4	76	1,5/0/1,5					x				
III.9	საჯარო ფინანსები	5	125	45	4	76	1/0/2						x			
III.10	ეკონომიკური სტატისტიკა	5	125	45	4	76	1,5/0/1,5	III.5					x			
III.11	საერთაშორისო ეკონომიკა 2	5	125	45	4	76	1/0/2	III.8					x			
III.12	საერთაშორისო სტატისტიკა	5	125	45	4	76	1/0/2	III.5						x		
III.13	საქართველოს ეკონომიკა	5	125	45	4	76	1,5/0/1,5							x		
III.14	ეკონომიკური ანალიზი	5	125	45	4	76	1,5/0/1,5								x	
III.15	ეთიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია	5	125	45	4	76	2/0/1								x	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
III.16	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	5	125	45	4	76	1/0/2									x
სულ		80														
IV. არჩევითი მოდულები ***																
IV.1	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები															
IV.1.1	საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა	5	125	45	4	76	1,5/0/1,5						x			
IV.1.2	საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები	5	125	45	4	76	1,5/0/1,5							x		
IV.1.3	საგარეო ვაჭრობა	5	125	45	4	76	1,5/0/1,5	III.11						x		
IV.1.4	საერთაშორისო მარკეტინგის პრინციპები	5	125	45	4	76	2/0/1								x	
IV.1.5	საერთაშორისო გადაზიდვები და ლოგისტიკა	5	125	45	4	76	1/0/2								x	
IV.1.6	საერთაშორისო საგადახდო სისტემები და ინსტრუმენტები	5	125	45	4	76	1/0/2									x
IV.1.7	პროფესიული პრაქტიკა	10	250	90	1	159										x
სულ		40														
IV.2	ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა															
IV.2.1	სოციოლოგიის საფუძვლები	5	125	45	4	76	2/0/1						x			
IV.2.2	მათემატიკური მეთოდები ეკონომიკაში	5	125	45	4	76	1,5/0/1,5	I.3						x		
IV.2.3	დემოგრაფიის საფუძვლები	5	125	45	4	76	2/0/1	III.10						x		
IV.2.4	კომერციული საქმიანობის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი	5	125	45	4	76	1/0/2	III.5							x	
IV.2.5	ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა	5	125	45	4	76	1,5/0/1,5	III.5							x	
IV.2.6	საბაჟო საქმიანობის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი	5	125	45	4	76	1/0/2	III.5								x
IV.2.7	პროფესიული პრაქტიკა	10	250	90	1	159										x
სულ		40														
სულ, პროგრამით		180	6000													

* წინაპირობა - გვიჩვენებს კონკრეტულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად თუ რომელი კურსის ათვისებაა აუცილებელი

** ძირითადი სპეციალობის შეთავაზებული არჩევითი კურსებიდან სტუდენტი თითოეულ სემესტრში ირჩევს ერთს

*** შეთავაზებული არჩევითი მოდულებიდან სტუდენტი ირჩევს ერთს

დამხმარე აღნიშვნები: **კრ.**-კრედიტი; **სთ.**-საათი; **ლ.**-ლექცია; **პ.**-პრაქტიკული მეცადინეობა; **ჯ.**-ჯგუფში მუშაობა; **საკ.**-საკონტაქტო მუშაობის დრო; **დამ.**-დამოუკიდებელი მუშაობის დრო.

დამატებითი (minor) პროგრამა „ეკონომიკა“

1. პროგრამის დასახელება: ეკონომიკა (ekonomies)
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი
4. სწავლების ენა: ქართული
5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ეკონომიკის minor პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- მისცეს მიკრო და მაკრო სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელი ძირითადი დებულებებისა და კატეგორიების გაცნობიერებისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნა;
 - ჩამოუყალიბოს ძირითადი პრაქტიკული უნარ-ჩვევები ეროვნული ეკონომიკისა და მისი სექტორების მართვის სფეროში;
 - შეეძლოს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკული რეალიზაცია როგორც საჯარო და/ან კერძო სექტორში, ისე საკუთარ ბიზნესში.
 - უზრუნველყოს კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება სწავლის მომდევნო საფეხურზე, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.
6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსი.
 7. სწავლის შედეგი

ეკონომიკის დამატებითი პროგრამის ათვისებით სტუდენტს ჩამოუყალიბდება:

ცოდნა/გაცნობიერება:

აქვს ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკული საკითხების აღწერის, შეფასების და გაცნობიერების აუცილებელი ცოდნა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

შეუძლია წინასწარი პირობებით, მოსალოდნეოლი შედეგების აღწერა, ჩამოყალიბება და დემონსტრირება. მიკრო და მაკრო ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ამსახველი ძირითადი თეორიული დებულებებისა და პრინციპების განსაზღვრა და განსხვავება;

დასკვნის უნარი:

ჩამოყალიბებული აქვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრაქტიკული საკითხების ამოცნობის, აღწერისა და შეფასების, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელ ძირითად ტენდენციებთან დაკავშირების უნარი;

კომუნიკაციის უნარი:

შეუძლია ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მიღება, აღქმა, დამუშავება და წარდგენა; აქვს დარგის სპეციალისტებთან და/ან არასპეციალისტებთან ვერბალურ და ელექტრონულ დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობისა და კამათში ჩართვის, სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით ბიზნეს ინფორმაციის გადაცემის უნარი;

სწავლის უნარი:

შეუძლია განსაზღვროს სწავლის საჭიროების, მისი აუცილებლობის დონე და ხარისხი, მიიღოს და განაახლოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის გზით მიღებული ცოდნა; გამოიყენოს სასწავლო ლიტერატურისა და ინტერნეტრესურსების, საკუთარი ცოდნის შესაბამისი ქართული და უცხოური ლიტერატურის კითხვით უწყვეტი განვითარების შესაძლებლობები;

ღირებულებები:

ჩამოყალიბებული აქვს:

✓ სწავლის საზოგადოებრივი ღირებულებების გააზრების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერების, ეკონომიკურ გარემოში ურთიერთ-სარგებლიანობის პრინციპის დაცვის გრძნობა;

✓ საზოგადოებაში თვითდამკვიდრების და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის, პიროვნული თავისუფლების (უზენაესი ღირებულების) უზრუნველყოფის თვისება;

✓ დროის ეფექტურად გამოყენებისა და ბიზნეს საქმიანობის პროცესში გუნდური მუშაობის თვისება.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

• საკონტაქტო:

✓ **ლექცია** - სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით;

✓ **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - სტუდენტების მიერ ერთობლივი ან ინდივიდუალური მცდელობა წინასწარ მიცემული საკითხის ან თემის შესახებ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. მიზანშეწონილია გაუგებარი და ძნელად გასაგები საკითხების განმეორებით განხილვა;

• **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობაა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადებისათვის.

9. შეფასების კრიტერიუმები:

შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ორ ძირითად მიზანს ემსახურება:

სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მისი სწავლისათვის ხელშეწყობა;

სწავლების კონკრეტული მეთოდის და სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის შემოწმება და სრულყოფა. პედაგოგმა უნდა იცოდეს, თუ რა კონკრეტულ მიზანს ისახავს სტუდენტის შეფასება, ასევე, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ინფორმაცია, რომელსაც შეფასების შედეგად იღებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის ათვისების მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა უნდა შეფასდეს არა ნაკლებ 40 ქულით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51-ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.

დამატებით (minor) პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:

პროგრამას ემსახურება ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკისა და ტურიზმის და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტების სხვადასხვა მიმართულების აკადემიური პერსონალი და მოწვეული აკადემიური დოქტორები. მათ შორის

პროგრამა	სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	მოწვეული (ეკონ. მეცნ. დოქტორი)
ეკონომიკა (minor)	1	6	1	1

ეკონომიკის (minor) პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-ს კორპუსები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები და ტექნიკა (მათ შორის. საპროექციო და სხვა სადემონსტრაციო აპარატურა), სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, პანდუსები (ინკლუზივი სტუდენტებისათვის) და ა.შ. კომპიუტერული ცენტრები.

კომპეტენციათა მატრიცა

#	კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	საქართველოს ეკონომიკა	X	X	X	X		
	ეკონომიკის პრინციპები 1	X		X	X	X	X
2	ეკ. აზრის ისტორია	X		X	X		X
3	სოციოლოგიის საფუძვლები	X	X	X	X		
	ეკონომიკის პრინციპები 2	X		X	X	X	X
4	სტატისტიკის თეორია	X	X		X	X	
5	მიკროეკონომიკა	X	X	X			X
6	საჯარო ფინანსები	X	X	X	X		X
7	ეკონომიკური სტატისტიკა	X	X				X
8	მაკროეკონომიკა	X	X		X	X	
9	ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა	X	X	X			X
	ეკონომიკური ანალიზი	X	X	X	X	X	X
10	საერთაშორისო ეკონომიკა 1	X		X	X	X	X
11	საერთაშორისო ეკონომიკა 2	X	X	X	X		X
12	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	X	X	X			X

10. სასწავლო გეგმა

პროგრამის დასახელება: ეკონომიკა (minor)

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/ვ/ჯგ	წინაპირობა*	სემესტრი								
			სულ	საკ		დამ			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				ლ/ვ/ჯგ	გამ												
სავალდებულო კურსები																	
1	საქართველოს ეკონომიკა**	5	125	45	4	76	1,5/0/1,5		x								
	ეკონომიკის პრინციპები 1		125	45	4	76	1,5/0/1,5	III.1		x							
2	ეკონომიკური აზრის ისტორია	5	125	45	4	76	1,5/0/1,5			x							
3	სოციოლოგიის საფუძვლები**	5	125	45	4	76	1,5/0/1,5				x						
	ეკონომიკის პრინციპები 2		125	45	4	76	1,5/0/1,5					x					
4	სტატისტიკის თეორია	5	125	45	4	76	1,5/0/1,5					x					
5	მიკროეკონომიკა	5	125	45	4	76	2/0/1					x					
6	საჯარო ფინანსები	5	125	45	4	76	1,5/0/1,5					x					
7	ეკონომიკური სტატისტიკა	5	125	45	4	76	1/0/2						x				
8	მაკროეკონომიკა	5	125	45	4	76	1,5/0/1,5	III.5					x				
9	ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა**	5	125	45	4	76	1/0/2	III.8					x				
	ეკონომიკური ანალიზი		125	45	4	76	1/0/2	III.5						x			
10	საერთაშორისო ეკონომიკა 1	5	125	45	4	76	1,5/0/1,5							x			

11	საერთაშორისო ეკონომიკა 2	5	125	45	4	76	1,5/0/1,5									x	
12	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	5	125	45	4	76	2/0/1									x	
	სულ	80															

* გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: კრ. - კრედიტი, საკ - საკონტაქტო (საადუტორიო); დამ - დამოუკიდებელი; ლ/პ/ჯგ - ლექცია/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა. ** ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, საქართველოს ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის ნაცვლად, შესაბამის სემესტრებში, სტუდენტები აითვისებენ ეკონომიკის პრინციპებს.

